

# სახელმწიფო ინსპექტორის

## ბრძანება №1

2020 წლის 8 იანვარი

ქ. თბილისი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

### მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული სახით:

1. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი №1).
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №2).
3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი №3).
4. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ჩამოწერის აქტის ფორმა (დანართი №4).

### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 16 ნოემბრის №5 ბრძანება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 17/11/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010100000.62.074.016014).

### მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის პირველი თებერვლიდან.

სახელმწიფო ინსპექტორი

ლონდა თოლორაია

